ონის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

ოქმი №4

ქ.ონი

სხდომის ჩატარების დრო 11.11.2022 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ მრჩეველთა საბჭოს წევრები.

1. კობა მეტრეველი-მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე.ფინანსისტ ეკონომისტი.
2. ელეონორა ნანიშვილი-მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე-მოქალაქე.
3. ნაზიბროლა გავაშელი-მრჩეველთა საბჭოს მდივანი,სამართლიანი არჩევნების ონის მუნიციპალიტეტის კოორდინატორი
4. ინგა მეტრეველი-არასამთავრობო ორგანიზაცია.
5. პავლე გოგშელიძე-ბიზნესმენი.
6. თამარ ხომასურიძე-ახალგაზრდობის წარმომადგენელი.
7. ლელა ზაქარაია-ახალგაზრდა მრჩეველთა საბჭოს წევრი.
8. სერგო ხიდეშელი-ონის მუნიციპალიტეტის მერი.
9. ლევან შერაზადიშვილი-ონის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.
10. თინათინ ბროლაშვილი-საფინანსო სამსახურის უფროსი.
11. ნინო მეტრეველი-საფინანსო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომის თავმჯდომარე-კობა მეტერეველი.

მდივანი-ნაზიბროლა გავაშელი.

დღის წესრიგი.

1. კობა მეტრეველი (მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე) დღის წესრიგის გაცნობა და კენჭის ყრა.
2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციები 2023 წლის ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად
3. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი.
4. დისკუსია - კითხვა - პასუხის რეჟიმი.
5. კობა მეტრეველი (მრჩეველთა საბჭოს თავმჯდიმარე) - სხდომის დახურვა.

მომხსენებელი - კობა მეტრეველი.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

საკითხი №1

მომხსენებელმა ინგა მეტრეველმა მრცეველთა საბჭოს სხდომაზე დააყენა რიგი საკითხები,რომლებიც მისი აზრით ონის სინამდვილეში ხელისუფლებისგან თანადგომას და გადაჭრას მოითხოვს

მაგალითად; დასუფთავების სამსახურის უკეთესად მუშაობისათვის საჭიროა: ეკიპირება,ტექნიკა,უნიფორმა
ქუჩების და ადგილების სახელწოდებების მოწესრიგება (ახალშენის,გვანცა დედოფლის ქუჩაზე,მდინარე ჭალულაზე)
სასაფლაოზე ასასვლელი საცალფეხო ბილიკების მოწყობა საჭიროა,რადგან მანქანით ასასვლელი დიდი გზაა,თან ყველას არ ყავს ტრანსპორტი.
სოფლებში მცხოვრები ბავშვები,სასურველი იქნება თუ იქნებიან ჩართული ხელოვნების წრეებში და სპორტულ სექციებში,ამისთვის საჭიროა მათი გადმოყვანა ტრანსპორტით.
ონში არსებობს სოციალური საწარმო ,,ედენა'',სადაც 15 ქალია დასაქმებული.სულ ახლახანს გაიხსნა მეორე ასეთი საწარმო ,,ხალიჩების ქსოვა,''აქაც შეიძლება ამ საკითხის დადებითად გადაჭრა.

აზრი გამოთქვეს: ნაზიბროლა გავაშელმა აღნიშნა,რომ ახალშენის ქუჩა გადაკეთდა ირინე სხირტლაძის ქუჩად,მაგრამ ქუჩის ახალი დასახელება არ არის გაკეთებული.

ელეონორა ნანიშვილმა აღნიშნა რომ კახაბერის ქუჩაზე საჭიროა გაზონების გაკეთება,მოსაწესრიგებელია ქუჩებში წყლის ფანტანები.

ნანიშვილმა ასევე ყურადღება გაამახვილა,რომ გადასახედია პურის ფასების კატასტროფული ზრდა.ბაზრის დღეებში სოფლის მცხოვრებლების ტრანსპორტირება.

ნ.გავაშელმა ონი-თბილისის მონაკვეთზე უსაშველო ფასებზე ილაპარაკა.პრობლემად რჩება ბენდიანიშვილების ალაყაფის ჭიშკარი,რომელიც მოედანზე ეკლესიასთან მდებარეობს,ჭიშკარი კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შესული,მისი აღდგენა კულტურის სამინისტროს პრეროგატივაა,მაგრამ თუ შეიძლება საკითხის დაყენება რომ დაჩქარდეს სამუშაოები.

დალი რაზმაძემ აღნიშნა,რომ სკოლაში ჩატარდა რემონტი,მაგრამ დარჩა ეზო მოსაწესრიგებელი,თუ არის საშუალება,რომ ეს პრობლემა დადებითად გადაიჭრას.

კობა მეტრეველმა აღნიშნა რომ სოფლებში წყლის რეაბილიტაციის საკითხი გადახედვას მოითხოვს.საჭიროა პროექტების სხვა მიმართულებით გაკეთება.კობა მეტრეველმა დასვა კითხვა,თუ ვის აქვს ვალდებულება გვერითის ხიდთან, მინერალურ წყალთან მისასვლელის

გაკეთებაზე.ასევე ისაუბრა ნაკიეთის გზის მონაკვეთზე,საქორიასთან უსაფრთხოების ზომების მიღებაზე (მოაჯირების გაკეთება,გადასახედის მოწყობა.)

პავლე გოგშელიძემ ილაპარაკა,სოფელ სევაში გზის რეაბილიტაციის შესახებ,მან აღნიშნა,რომ ხომ არ აჯობებდა ჯერ წყალსადენის სამუშაოები გაეკეთებინათ და მერე დაეგოთ ასფალტი,ასევე საკითხი დააყენა ონის წყალსადენის შესახებ.

ყველა რჩევა ,რომელიც კი იქნა დაყენებული მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე,გაზიარებული იქნა მუნიციპალიტეტის მერის სერგო ხიდეშელის მიერ და შეძლებისდაგვარად პასუხგაუცემელი არ დარჩენილა თითქმის არცერთი კითხვა.

ბატონმა სერგომ ონის ახალი წყალსადენის შესახებ მოგვაწოდა ინფორმაცია,რომ პროექტი გაკეთებულია,ტენდერიც გამოცხადებულია,მიმდინარეობს სხვადასხვა საკითხების მოგვარება და უახლოეს მომავალში დაიწყება სამუშაოები.

სოფელ სევაში ღვინიას წყალზე სამთავრობო დონეზე მიმდინარეობს მუშაობა საკითხის გადასაწყვეტად.სოფლის წყლების მოვლა-შენახვისთვის მუნიციპალიტეტში მომავალი წლიდან შეიქმნება ა.(ა)ი.პ ორგანიზაცია,რომელიც პასუხისმგებელი იქნება სოფლებში წყალსადენების ნორმალურად მუშაობაზე,რაც შეეხება გვერითის მინერალურ წყალთან მისასვლელ გზას.არსებობს გეოლოგიური დასკვნა,რომ ხიდი რომელიც აკავშირებს გვერითის მინერალურ წყალთან მისასვლელს ვერ პასუხობს მოთხოვნებს,ამიტომ საჭიროა ახალი ხიდის გაკეთება,რაც უკვე დაგეგმილია.

მერის განმარტებით მალე მოწესრიგდება ქუჩების ნუმერაცია და ქუჩების სახელწოდებები,რაც შეეხება ბენდიანიშვილების ალაყაფის ჭიშკარს.მივმართავთ შესაბამის ორგანიზაციას,დააჩქაროს ჭიშკრის აღდგენის პროცესი.

მიმდინარეობს რაიონში ავტოსერვისის მოწესრიგება,მაგალითად:ვფიქრობთ მომავალში შევიძინოთ ნაგავმზიდი,მიკრო ავტობუსები,რადგან ადრინდელი შეძენილი ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება ამორტიზებულია,გვინდა შევიძინოთ ასევე ამწე კალათა. ტრაქტორები და კამაცო გავარემონტეთ და მზად არის საჭიროებისამებრ გამოსაყენებლად.

რაც შეეხება სოფლებიდან ბავშვების გადმოყვანას სხვადასხვა წრეებში ჩართულობისათვის, ჩვენი თვალსაზრისით არ არის გამართლებული,უსაფრთხოების კუთხით,არც ფინანსებია ამისთვის.ჯობია ადგილზე მივიყვანოთ მასწავლებლები ან ადგილობრივები მოვძებნოთ.

არსებული საავადმყოფო ვერ აკმაყოფილებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მოთხოვნებს,არ არსებობს მაღალ ტექნოლოგიური აპარატურა,არა გვყავს ბევრი მიმართულების სამედიცინო

პერსონალი,ამიტომ იხსნება საჩხერის საავადმყოფოს ფილიალი,სადაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემა მოგვარებული იქნება,ფილიალი წლის ბოლოსთვის უნდა გაიხსნას.

დასუფთავების სამსახური ქალაქის იერსახის შენარჩუნებაზეა პასუხისმგებელი.აუცილებლობას წარმოადგენს ერთი ნაგავმზიდის დამატება.საჭიროა უნიფორმების შეძენა.უახლოეს მომავალში ვგეგმავთ ჟილეტების შეძენას.მძღოლებს და დასუფთავების თანამშრომლებს 10%-ით ეზრდებათ ხელფასი.

რაც შეეხება პურზე და ტრანსპორტზე ფასების ზრდას დამოკიდებულია კერძო სექტორზე. მათი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ხარისხზე.ჩვენ თხოვნით მივმართავთ მათ გაითვალისწინონ მოსახლეობის მოთხოვნები.

კენჭი ეყარა - სხდომის თავმჯდომარემ მრჩეველთა საბჭოს წევრებს მოუწოდა კენჭი ეყარათ წარმოდგენილი საკითხისთვის.

მომხრე: 6

წინააღმდეგი:0

კენჭის ყრის შემდეგ დააგინეს:

გათვალისწინებულ იქნას მრჩეველთა საბჭოს სხდომის წევრების მიერ წარმოდგენილი საკითხები ბიუჯეტის შედგენის დროს.

საკითხი №2

ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ. (მომხსენებელი საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თინათი ბროლაშვილი)

თინათინ ბროლაშვილმა წარმოადგინა ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი.სხდომის მონაწილეებმა ცნობად მიიღეს წარმოდგენილი პროექტი (დანართი თან ერთვის)

კენჭი ეყარა - სხდომის თავმჯდომარემ წევრებს მოუწოდა კენჭი ეყარათ წარმოედგენილი საკითხისთვის.

მომხრე - 6

წინაარმდეგი - 0

კენჭის ყრის შემდეგ დაადგინეს:

გათვალისწინებულ იქნას სხდომის წევრების მიერ წარმოდგენილი საკითხები ბიუჯეტის შედგენის დროს და ამის სემდეგ მოწონებულ იქნას 2023 წლის ბიუჯეტი.

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე - კობა მეტრეველი

მრჩეველთა საბჭოს მდივანი - ნაზიბროლა გავაშელი